პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 88 (19230) სამშაბათი, 16 აპრილი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

შრომით განვამტკიცოთ სამშობლოს ძლიერება

თითოეულის პასუხისმგებლობა, დისციპლინა

რესპუბლიკის მშრომელები გულმოდგინედ ეცნობიან სკკ ცენტრალურ კომიტეტში სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელებთან, სპეციალისტებთან და მეცნიერებთან შეხვედრაზე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვას და ამ შეხვედრის მასალებს; მათი ანალიზის საფუძველზე გამოიტანენ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ უკეთ გამოიყენონ შექმნილი პოტენციალი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისთვის, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებისთვის.

დილა იყო. პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი ნ. გოგიტიძე და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ა. ბოლქვაძე საწერ მაგიდასთან ისხდნენ და სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვას „ინიციატივა, ორგანიზებულობა, ეფექტიანობა“ ერთად კითხულობდნენ და მსჯელობდნენ. მასში დასმულ პრობლემებსა და საკითხებს რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას უფარგლებდნენ.

ხელვაჩაურელებმა შრომან სოფლის მეურნეობის ყველა დარგში კარგი წარმატებები მოიპოვეს. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის, ციტრუსის, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები. სულბარი იმახე ჩამოვარდა, აგროსამრეწველო გაერთიანებაში რა სიახლეები დაინერგა, როგორ გაართვეს თავი ამოცანებს, როგორ სძლევენ სუსხიანი ზამთრით გამოწვეულ სიძნელეებს, როგორ მოემზადნენ საგაზაფხულო სამუშაოთა მოკლე დროში დამთავრებისათვის. დაგვიანებული გაზაფხულის გამო ჩამორჩენა რომ დაეძლიოთ, ამისათვის გადამჭრელი ღონისძიებებია საჭირო. აი ამაზე საუბრობდნენ.

ნ. გოგიტიძე: ახლა, როცა უკვე შევაჯამეთ შარშანდელი სამეურნეო წლის შედეგები, ნათელი გახდა, რომ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. 1983 წელთან შედარებით შარშან გაერთიანებაში ფულადი შემოსავალი 4,5 მილიონი მანეთით გაიზარდა. საერთო რენტაბელობის დონემ 45,3 პროცენტს მიაღწია, რაც დაგეგმილს 9,3 პროცენტით ჭარბობს; შემცირდა ჩაისა და ციტრუსების თვითღირებულება.

აგროსამრეწველო კომპლექსის საექსპერიმენტო ეადა ამოიწურა და ახლა ჩვენ მტკიცედ მივდივართ წინ. ეს კი იმის შედეგია, რომ გაერთიანების მიერ დასახული გეგმები ზუსტ ეკონომიკურ გაანგარიშებას ეყრდნობა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგს მოიცავს. რით მოვიპოვეთ ეს წარმატებები? ყველა რგოლში ვიბრძოდით პასუხისმგებლობის გაზრდისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. გავაძლიერეთ კადრებთან მუშაობა. განსაკუთრებული შედეგი მოჰყვა მატერიალური დაინტერესების პრინციპს. საიჯარო ბრიგადებისა და რგოლების შექმნა პროგრესული ფორმა გამოდგა.

ა. ბოლქვაძე: შეიძლება უხერხულიც იყოს ასეთი მაგალითის მოყვანა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა — მახვილკარის საბჭოთა მეურნეობას დიდი რაოდენობით აქვს ციტრუსი. კრეფის დროს ზამთარს რომ არ მოესწრო, გადაეწყვეტეთ მოსწავლეები და მასწავლებლები მიგვეშვებინა. მუშები არ დაგვთანხმდნენ, დანაკარგები გაიზრდება, საქმეს ჩვენ თვითონ გავწვდებითო. როცა საქმე მატერიალურ დაინტერესებას ეხება, თითოეულ ნაყოფს უფრთხილდებიან. ახალ ფორმაზე თიოქმის ყოველი მესამე რგოლი და ბრიგადა გადაყვანილი. გონიოს საბჭოთა მეურნეობის მიმოზა ჩხენკელის ბრიგადაში ახალი ფორმის წყალობით მოსავალი ჰექტარზე თითქმის ხუთი ტონით გაიზარდა. ცოტა როდი ოჯახი, რომელიც მარტო მეციტრუსეობიდან 5-6 ათას მანეთს იღებენ. ბუნებრივია, ასეთი პირობებში ყოველი მეციტრუსე ცდილობს მაქსიმალური მოსავალი მოიყვანოს და მიზანსაც აღწევენ.

ნ. გოგიტიძე: ეს რიდი ნიშნავს, თითქოს ყველანაკ კარგი მდგომარეობა გვქონდეს. მაგალითად, მახინჯაურის კოლმეურნეობაში საშუალო მოსავალი ჰექტარზე ხუთი ტონაა. ეს მაშინ, როცა იქვე, მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობაში სამჯერ მეტი მოჰყავთ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შრომის ორგანიზაციის საქმე ყველგან არა გვაქვს მაღალ დონეზე დაყენებული — ზოგან ბალებს აკლია მოვლა-პატრონობა, ერთ სიმეჩხერე, ცუდადაა დაყენებული და საერთო ჯამში შედეგიც არასახარბიელოა. ჩვენ ყველაფერს ვეღონობთ, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში იმათის მოსავალმა.

საუბარი ახლახან კრემლში გამართულ შეხვედრაზე წამოჭრილ საკითხებს შეეხო.

ა. ბოლქვაძე: ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა ჩვენი შემდგომი მუშაობის საფუძველთა საფუძველი უნდა იყოს. იგი ჩვენთვის საპროგრამო დოკუმენტია. საქმე ეხება შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სოლიდური ეკონომიკური პოტენციალის შექმნას, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის ურთიერთპასუხისმგებლობის გაძლიერებას, საქმის ისე წარმართვას რომ, როგორც გენერალურმა მდივანმა ბრძანა, თითოეული შრომელი ისწრაფოდეს საზოგადოებრივ წარმოებაში, მისი ეფექტურობის ამაღლებაში მთლიანად გამოიყენოს თავისი უნარი და შესაძლებლობანი.

ნ. გოგიტიძე: ტელევიზიით გამოსვლის დროს ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. წითლიძემ ილაპარაკა ოჯახური იჯარის სპეციფიკაზე. ვფიქრობ, რომ საყურადღებო წინადადებაა. ხელვაჩაურის რაიონის 6 კოლმეურნეობა, მათ შორის კირნათი, ჩხუტუნეთი, ქედელი და სხვები, ისეთი მაღალმთიანია, რომ მექანიზაციაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ერთი საზომით ვერ მიუდგები ბარისა და მთის სოფლების მართვას. ვფიქრობ, მთის სოფლებში, ოჯახური იჯარის დანერგვა კარგ შედეგს მოგვეცემს. ამრთ დოვლათის სიუხვესაც შეეშენით და შიწის მუშას მატერიალურადაც დავინტერესებთ.

პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. გოგიტიძემ და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ა. ბოლქვაძემ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გამოქვეყნებულ წერილში გლობალური, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საკითხებს გადასაწყვეტი საკითხებია დასმული, რომლებიც ღრმად უნდა შევისწავლოთ და ფართო მასებს გავიცნოთ; არა მარტო გავაცნოთ, არამედ მის მიხედვით ვიმოქმედოთ და ვიშრომოთ.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბოლინავეთა

ვსარლამსარ

თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების და მისი რეალიზაციის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმები. წარმატებანია მოპოვებული სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირკვენის 40 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაზეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც სკკ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების დიდ ეტაპად გადაიქცა, ფენომენთა გადამჭრელი სარჩობის შრომელთა ახლოლუტური უმეტესობა.

ჩვენი კორესპონდენტის თ. ნიკოლაიშვილის ფოტოზე თქვენ ხედავთ მკერავ ნინო მუკერს, რომელიც თბილისის №35 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა ფაბრიკაში და ახლა მოწინავეთა რიგებშია.

ბრძანდება მაისი, ვეშზადოთ!

ეროსლოვადა პირველ მაისი, წლის უმშვენიერესი თვის დასაწყისი. ლაგვარდოვანი ცა, მოკაშკაშე მზე, თვითად გადაპენტილი და მწვანედ აოქვირებული გარემო უსაზღვრო სიხარულს ანიჭებს ადამიანს. შრომის მეტი ხალისი ეპყრობა, შემოქმედებას გადაურჩენის პერიოდი უდგება, ყველას გულში ოპტიმიზმი და რწმენა იმკვიდრებს.

ზღაპრულად ლამაზია მაისი და სრულიად ბუნებრივია, რომ მისი დამშვენი იქნა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. არ არის ახლა დედამიწის ზურგზე ქვეყანა, სადაც მაისობას არ აღნიშნავდნენ. დიახ, ღრმად გაიდგა ფესვები ამ დღესასწაულის ტრადიციამ, იგი ყველგან დამკვიდრდა. ახლა რიგ იმპერიალიზმი, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები, გამანადგურებელი ომის საფრთხეს უქმნის კაცობრიობას, ერთმანეთს ხელს უწვდიან შრომელები, ერთგულებას ეფიცებიან, მხარდაჭერას პირდებიან. მაისობა ჭეშმარიტად თავისუფლებისა და მოქალაქეობრივი უფლებებისათვის, პროგრესისა და დემოკრატიისათვის, დედამიწაზე მშვიდობისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის მებრძოლთა ძალების დათვალიერების დღეა. ეს აზრი ნათლად გადმოცემულია სკკ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში.

კარგი გუნება-განწყობილებით ეგებებიან გაზაფხულის დიდ დღესასწაულს ხალხთა საქართველოს მშრომელები. ამ დღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დანინაურდნენ მრეწველობის ასობით საწარმოს, საამქრის, ბრიგადის კოლექტივები. საგრძნობი წინსვლაა ზოგიერთი სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციაში, აქტიურად ებრძვნენ ნაგაზაფხულო სამუშაოებში სოფლის მეურნეობის მშრომელები.

დიახ, რაც ზემოთ ითქვა, ჭეშმარიტებაა, მაგრამ ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ მრეწველობის წარმოების ზრდის ტემპმა პირველ კვარტალში 105,6 პროცენტი შეადგინა, გეგმა კი 106,1 პროცენტს, ხოლო სოციალისტური ვალდებულება 106,6 პროცენტს ითვალისწინებდა. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმის შესრულება, შარშანდელ შეხვედრის პერიოდთან შედარებით 35-ით გაიზარდა. ჩამორჩენილთა რიგებშია რუსთავის ქიმიური ბოჭკოს და „საქთვეზრეწვის“ საწარმოო გაერთიანებები, მახარაძის სახერავების შემკეთებელი, ქუთაისის თევზის გადასამუშავებელი, ქუთაისის რკინაბეტონის, რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხნები, სხვა საწარმოები. საერთოდ, გეგმის შესრულებას თავი ვერ გაართვა 51 საწარმომ და სახელმწიფოს 28,9 მილიონი მანეთის პროდუქცია დაკარგა.

მართალია, თებერვლისა და მარტის უამინდობამ წარმოქმნა უკვე კარგად ცნობილი სირთულეები, მაგრამ ეს მთავარ მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს. ზოგჯერ ინტენსიური ძიება-გამოვლენის პირობებში, საქმეს რომ მეტი პასუხისმგებლობით, მეტი მონდომებით, შემოქმედებითად მივდგომოდით, მდგომარეობა მნიშვნელოვნად უკეთესი იქნებოდა, ორგანიზებულობითა და შრომის დისციპლინის განმტკიცებით მეტს მივაღწევდით.

ხალა სიძნელეებს შეუპოვრობა და მონდომება დაუპირისპირეს მეოცეხივე შესანიშნავს მიალწიეს. ხსვებზე უკეთეს პირობებში არ იმყოფებოდა, მაგალითად, რუსთავის „ზორეს“ საწარმოო გაერთიანება, რომელმაც პროდუქციის გამოშვების მხრივ გაუსწრო საუალო რეპუბლიკურ მაჩვენებელს. ამ მაჩვენებელმა ა! 128,1 პროცენტს მიაღწია. საუცხოო შედეგები აქვთ „ანალიზსელსაწყოსა“ და „საქპოლიმერკონტეინერის“, თბილისის „აფრეგატის“, რუსთავის ეკსკავატორ-ექსკავატორი, ფოთის გემთშეკეთებელ-გემთსაშენებელი, მეცხეთის „ძრეწვაკეთილის“ ქარხნების, ბიაკოფსკის ავეჯის ფაბრიკის ელექტრიკების, საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, ხიბა და ხე-ტყის დამუშავებელი მრეწველობის სამინისტროებს.

233 საწარმოს შეამეორა პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერების დონე, ხილბოსტნეულის სამინისტროში, მაგალითად, ასეთ საწარმოთა რაოდენობამ 48,3 პროცენტი, ხოლო სამეს მახალათა მრეწველობის სამინისტროში 32,4 პროცენტი შეადგინა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა მშენებლობისა და კვების მრეწველობის სამინისტროებში, ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტში. შრომის ნაყოფიერების დონეს იკლო აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების ისეთ საწარმოებში. როგორიც არის „ჯიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანება, მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი, ნნორის შექანიკური ქარხანა, თბილისის საიუველირო ფაბრიკა და სხვები.

ხაზეიმოდ განწყობილ საპირველმაისო სტრატიაში იქნებ ვინმეს უეიხოოს კიდეე ამდენი კრიტიკული შენიშვნა, მაგრამ სხვანაირად აღარ შეიძლება. ბოლო უნდა მოეღოს პარადულობასა და ბაქიქუქს, ყველაფერი უნდა გამომდინარეობდეს რეალური შედეგიდან, საქმიდან. ამას მოითხოვს სკკ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმი, ეს გამომდინარეობს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვიდან, რომელიც მან სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელებთან, სპეციალისტებთან და მეცნიერებთან შეხვედრის დროს წარმოთქვა.

აღინიშნა, რომ უახლოესი ამოცანაა 1985 წლის გეგმისა და მთელიანად ხუთწლედის წარმატებული შესრულება. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ პირველი კვარტალის შედეგები ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებდა და ამაზე გავლენა იქონია არაორგანიზებულობამ, ზოგჯერ გულარხეინობამ, ზოგან კი უსახსინმგებლობამაც. ახლა მთავარია დაეძლიოთ ჩამორჩენა, შეგვეხო ხარვეზები, შევასრულოთ ყველაფერი, რაც დასახულია გეგმით. ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს ზუსტი, ორგანიზებული შუამთიბა და რეზერვების გამოყენების საკითხები. რეზერვები ყველგან უმრავლია, მათ მხოლოდ გონივრული, მონდომებული ძიება-გამოვლენა სჭირდება.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგთა კოლექტივებმა წლების მანძილზე სირთულეებთან ჭიდილის დიდი გამოცდილება შეიძინეს, დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ გადალახონ ყველა დაბრკოლება. რესპუბლიკას, რომელიც სისტემატურად იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და რომლის მიღწევებიც ეკონომიკის მრავალ დარგში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ასობით სანარმოს, საამქროს, ბრიგადის კოლექტივები. საგრძნობი წინსვლაა ზოგიერთი სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციაში, აქტიურად ებრძვნენ ნაგაზაფხულო სამუშაოებში სოფლის მეურნეობის მშრომელები.

ამ ფონზე ერთ-ერთ ადგილზე ეკავა ბალეგანელ ფაბრიკანტ ალ. ბალეგანელის ფოტო. ეს ადამიანი ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა, ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა, ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა,

პარტიული ცხოვრება: მელიორაცია და კომუნისტები

რაც თავი მახსოვს, ჩვენებური ელეს ყაციას ერთ-ერთი სანუკვარი ოცნება შირაქისა და ივრის-პირეთის გასარწყავება იყო. ეს დალოცვილი მიწა ძალიან ბარაქიანია, მაგრამ უწყლობის გამო იმის ნახევარ ჭირნახულსაც ვერ იძლევა, რის მოეცემაც შეეძლებოდა სისტემატური რწყვის შედეგად. და აი, წითელწყაროელ მიწის მუშას ოცება აუწდა: ჯერ სკკ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის, ხოლო შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებები მელიორაციის გრძელვადიანი პროგრამის შესახებ პირდაპირ მიესადაგა ჩვენს რესპუბლიკას და კერძოდ წითელწყაროს გვალვიან რაიონს.

„საჭიროა თითოეულ რაიონში დამუშავდეს სამელიორაციო სამუშაოების განხორციელების ღონისძიებათა მყოფი გეგმა — ხაზგასმით აღნიშნა ამხანგმა ე. შევარდნაძემ, — ამასთან გვიანდალისწინონ ადგილობრივი საწარმოო და ბუნებრივი კლიმატური პირობები, გამოვიჩინოთ შემოქმედებითი მიდგომა, მეურნის საზრიანობა და გეგრელიანობა". ამიტომ, სწორედ წითელწყაროელები განსაკუთრებული ამოცანების წინაშე დგანან. მით უმეტეს, დღეს, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ამას, წინათ მიღებულ დადგენილება „წითელწყაროს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ", სადაც ვრცელი პერსპექტივებია დასახული სასოფლო-სამეურნეო წარმოების — მემანდარეობის, მეცხოველეობის, განსაკუთრებით კი მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ადგილობრივი პირობებისა და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით მელიორაციის განვითარებას პარტიის წითელწყაროს რაიკომის სპეციალური პლენუმიც კი მიეძღვნა, რომელსაც ადგილობრივ პარტიულ-სამეურნეო აქტივთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განყოფილების გამგე მ. წულაია, „საქმთავარწყალშენის" უფროსი ა. მუსერიანე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელები.

წითელწყაროს რაიონი, რომელის გამგეობაშია 198.000-მდე ჰექტარი მიწა, მათ შორის 166.200 ჰექტარი სავარგული, 45.000 ჰექტარი სახნავი, მრავალწლოვანი ნარგავები და სხვა, მართლაც

ახალი ოცნება

◆ **მეტი ყურადღება საირიგაციო ქსელის მშენებლობას ◆ მორწყვის უკუგება ყველგან არა ჩანს ◆ რატომ ინერგება ნელა ბრიგადული იჯარა? ◆ ბარაბას ამრავლების კოლექტიური პასუხისმგებლობა**

დიდი გარდაქმნების მიჯნაზეა. მელიორაციის დარგში გრძელვადიანი პროგრამის განხორციელება რეალობად აქცევს მის პოტენციურ შესაძლებლობებს. უკანასკნელი ორ წელიწადში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთლიანი წარმოება აქ 15 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე ხუთწლეულის პირველ ორ წელიწადში

— ჩვენთან მიწების მასშტაბური გასარწყავება ამ 10-12 წლის წინათ დაიწყო, — ამბობს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი გ. ჭარაქაშვილი, — მდიდარ სარწყავ ჰექტრებად გადაიქცა ისეთი გვალიანი და უფაბნოდ ქცეული მინდერები, როგორიცაა ტარიბანა, ვაკე-თელეწყალი, შაბრეწყალი, ზილიჩა. რაიონი დღეს მძლავრ საირიგაციო პოლიგონს მოგგვიანებთ. ფასარწყავებაზე ყოველწლიურად ათობით მილიონი სახელმწიფო სახსრები იხარჯება. 1990 წლამდე კიდევ 150 მილიონი მანეთის საირიგაციო სამუშაოები ჩატარდება. მოწმათმოქმედების სფასტრშია ჩაყვანებული თელწყალს, ყუშისხევი, კრანჭხისხევის წყალსაცავები, რომელთა საერთო მოცულობა 8 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. ათი პერიოდული შეკვეთა მდინარე იორიდან საყრდენი ხაზებით წარმოებს.

სულ ახლახან ფერისპირეთში საფუძველი ჩაეყარა „დალის მთის" წყალსაცავის მშენებლობას, რომლის წყალტევადობა 180 მილიონ კუბურ მეტრს, ხოლო მშენებლობის ღირებულება ერთ მილიარდამდე მანეთს შეადგენს. წყალსაცავი მორწყავს ნაზარეულისა და სამეზის გვალიანი მინდერების 16.000 ჰექტარს. ამ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ორი ღიდი საბეთონა მეურნეობის შექმნა, ორი ახალი სოფლის „საქართველოს" და „რუსთაველის" დაფუძნება. ის, რაც გაკეთებულა ბოლოდ 69 პროცენტით შესრულდა. დაგეგმილი ფერთობები სანახევროდაც ვერ მორწყეს ზემო მაჩხანის, არმაზიკის, საბათლოს კოლმეურნეობებმა. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ მეურნეობათა კოლმეურნეობებმა? მათ კარგად ეხმიანებოდეთ, რომ მიწათმოქმედების კულტურა — ხვნა, თესვა, რწყვა თუ სხვა, უნდა განვიხილოთ და აკითხოთ მხოლოდ ერთიან კომპლექსში. ამიტომ პლენუმის მოთხოვნაა, რომ აგროსამრეწველო კავშირთანებამ, რომლის ხელშიც თავმოყრილია მიწა, წყალი, ტექნიკა თუ სასუქები, კომპლექსურად, კომპეტენტურად უნდა მართოს, ეს დარგი, მთ უმეტეს, რომ მიწების მელიორაცია ფუძისეული საქმეა, რისთვისაც რაიონში შეიქმნა და ფუნქციონირებს მელიორაციისა და გაწყლოვანების ერთიანი სამმართველო.

წითელწყაროს რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ამ ერთი თვეული ნოემბერ წინ კარგი ინიციატივა გამოიჩინეს მცირე მელიორაციის დანერგვისათვის, მაგრამ ბოლო ხანს, რატომღაც იგი ყურს უკან მიაგდეს. ამიტომ რიული მდგომარეობაა შექმნილი ტარიბანის, ვაკე-თელეწყლის, კრანჭხისხევის წყალსაცავებსა და სარწყავ სისტემებში. სამწუხაროდ, ხდება ავარიებიც, გაფთნება, წყლის უქმი დანაკარგები, რაშიც რაიონის მელიორაციისა და გაწყლოვანების სამმართველოს სჭირდება „საქმთავარწყალშენის" ქმედითი, ოპერატიული ნაბიჯები.

სპეციალისტებს, კომუნისტებს მიუჩნიათ, რომ სამელიორაციო სამუშაოთა კონკურენციის, ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, წითელწყაროს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შესაბამ შემთვეევა, ხარვეზი თუ შეცდომა უნდა გითვალისწინონ მეორე რიგის სარწყავი სისტემის „ზილიჩა-II"-ის მშენებლობისას. იქ, სადაც რწყვის კულტურა და აგროტექნიკა მაღალ დონეზეა,— აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ნოემბრის პლენუმზე, — მემეცნარეობის პროდუქტიულობა 1,5-ჯერ და უფრო მეტია. შარშან რაიონში უნდა ჩატარებულიყო 24.000 ჰექტარბრივი რწყვა, ეს სამუშაოები კი მხოლოდ 8 ათასი ჰექტარზე შეადგენს. ეს ფაქტები? არ არის ყველგან ნამდვილი მოწადინება, პასუხისმგებლობა, ინიციატივა. რწყვის სიკეთით, აგრეთვე მთლიანად მიწის ბარაქიანობისათვის ადამიანთა დაინტერესებას დიდად გაზრდიდა ბრიგადული იჯარა, რომელიც, სამწუხაროდ, რაიონში ჯერ კიდევ მასობრივად არ არის დანერგილი. მდგომარეობას ართულებს აგრეთვე კვალიფიციური კადრების დეფიციტი. დღემდე გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ წითელწყაროში რწყვა არარენტაბელური, ანალი, უცხო საქმეა. ეს მართლაც ისეა, მაგრამ არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ რაიონში კარგი ხანია შექმნილია მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ორი სამმართველო. თითქმის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას ჰყავს მელიორატორი. მართალია, ამ დარგში დასაქმებულნი არასპეციალისტებიც არიან, მაგრამ ვინ უნდა მოიზიდოს კადრები, აღზარდოს, ათამაღლოს მათი კვალიფიკაცია, გაიღოს სამისო სახსრები, თუ არა აგროსამრეწველო გაერთიანებამ, ხაზოგადებრივმა მეურნეობებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა? ვფიქრობთ, საჭიროა იქნება, რომ საირიგაციო სამუშაოთა ზრდის კვალობაზე კადრების აღზრდისა და მომზადებისათვის იზრუნონ შესაბამისმა ინსტიტუტებმა და კვლევითმა დაწესებულებებმა, ყოველწლიურად დაუშვან უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ამ რაიონიდან მისაღებნი ლიმიტები.

მიწების მელიორაციის განხორციელების გზაზე სხვა პრობლემებიც არის. სამელიორაციოსარიგაციო საქმისადმი პასუხისმგებლობას, ამ საქმეზე გაწეული ხარჯების უკუგების გაზრდა აგრეთვე, დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ხელშეკრულების დადება, დამქმელი პირობების მიხედვით ორივე მხარის პასუხისმგებლობის ამაღლება, საქმისადმი თანმიმდევრული, სისტემატური კონტროლი. რაგორც სამეურნეო ხელმძღვანელმა, ისე თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ ხარვეზებსა და დაუდგენრობაზე, რაც დაშვებულია ადგილობრივ ექსპერიმენტებში.

მიმდინარეობს ექსპერიმენტი

მიზანი

საბალანსო მოგება

შარშან იანვრიდან თბილისის ბრეხილი ავეჯის კომბინატში დაიწყო საწარმოს მართვის უფლებათა გაფართოებასთან, ნაკლები მრომითი, მატერიალური და ფინანსური დანახარჯებით სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტი. იგი ხორციელდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის, პარტიის თბილისის საქარხნო რაიკომისა და რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ერთობლივი დადგენილების თანახმად. ექსპერიმენტს საფუძველია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ეკონომიკურ სტიმულირებაზე.

ეკონომიკური ექსპერიმენტის ერთ-ერთი ძირეული პრინციპია შედეგობრივი ნაშთობრივი ხელფასის ფონდის დანაგრეშება და მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური სტიმულირება. თვით შედეგობრივი ნაშთობრივი ხელფასის ფონდის დაანგარიშების ძირითადი საფუძველია საბალანსო მოგება: რამდენადაც გაიზრდება საბალანსო მოგება, იმდენად დიდდება შედეგობრივი ნაშთობრივი ხელფასის ფონდიც.

ეს, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტის თეორიული ნაწილის მოკლე განმარტებაა, მაგრამ რა მოგვცა მან პრაქტიკულად?

დავიწყებ იმით, რომ ხუთწლეული მეოთხე-წლის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა კომბინატის კოლექტივმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა, მოახმარებელ გეგმის გადამტები 213 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნა. ასევე საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმაც. დამზადდა გათვალისწინებულზე 378 ათასი მანეთით მეტი ღირებულების ავეჯი, რომლის 97 პროცენტი შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მოდის. უთუოდ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა 4,4 პროცენტული პუნქტით აჭარბობს დაკანონები ნორმატივი.

თითოეული მომუშავის საშუალო ხელფასი ზემოხსენებულ პერიოდში 0,4 პროცენტით გაიზარდა. მართალია, შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის შესაბამისობის ნორმატივი გვძღვევდა საშუალო ხელფასის 2,2 პროცენტით გადიდების საშუალებას, მაგრამ შედეგობრივი ნაშთობრივი ხელფასის ფონდის მაქსიმალური შესაძლებლობა არ შეესაბამებოდა აღნიშნულ დონეს. შარშან დაირიცხა შედეგობრივი ნაშთობრივი ხელფასის ფონდი 1979 მანეთის ოდენობით და გაიცა 1977 მანეთად. ჭეშმარიტ თვითღირებულებაში შემავალი ხელფასი — 1806 ათასი მანეთი და მოგებიდან შედეგობრივი ნაშთობრივი ხელფასი 171 მანეთი, რაც მთლიანად მეცალთ მუშა-მოსამსახურეებს ხელფასის დანამატის სახით. 1984 წლის მოგებამ შეადგინა 2435 ათასი მანეთი. ყოველივე ამით საშუალება მოგვეცა გამოგვეყოფა: წარმოების განვითარებისათვის — 10 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და ბინათმშენებლობისათვის — 52 ათასი მანეთი, სამეურნეო რისკის ფონდისათვის — 71 ათასი მანეთი და ხელმძღვანელი ფონდისათვის — 18 ათასი მანეთი. დებულების შესაბამისად, ეს ფონდები რჩება ჩვენი წარმოების სამეურნეო საბჭოს განკარგულებაში და ისინი მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობას შემდგომ გაუმჯობესებას მოხმარდება.

როგორც. ხედავთ, კომბინატის კოლექტივმა კარგად დაამთავრა ხუთწლეული მეოთხე წელი და სამართლიანად დაინსახურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს აღკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომი და ფულადი პრემია.

კომბინატის დირექცია, პარტიული ორგანიზაცია, საფაბრიკო კომიტეტი და აღკკ კომიტეტი ადგილობრივი პრესის, ცენტრალური გაზეთების, საზოგადოება „ცოდნის" ლექტორთა დაბმრეგბით, ხელმძღვანელი ამხანაგების — დირექტორის, მთავარი ეკონომისტის რადინ და ტელეგადაცემებში მონაწილეობით ფართო საინფორმაციო ტერაპიაზე გამოსვლებს აწყობდნენ, რათა თითოეული შემსრულებლისათვის ნათლად განგვემარტა ექსპერიმენტის არსი და მნიშვნელობა. ახლა ყველა მუშა-მოსამსახურე პასუხისმგებლობით უდგება ეკონომიის რეჟიმის დაცვას, სამეურნეო საბჭოს სხდომებზე ყოველკვარტალურად განიხილება საკითხები ექსპერიმენტის მიმდინარეობის შესახებ.

არ შემიძლია დავეთანხმო იმათ, ვინც ამბობს, თითქოს მუშა-მოსამსახურეები ექსპერიმენტს დროებით მოქმედი დებულების შინაარსს არ იცნობდნენ. პირიქით, დებულების ძირითადი არსი და ექსპერიმენტის მიმდინარეობის შედეგები ცნობილი გახდა როგორც კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისათვის, ასევე მსმენარი ინფორმაციის საშუალებით რესპუბლიკის ყველა მშრომელმასათვის. რაც შეეხება მუშა-მოსამსახურეთა ცოდნის დონის გამოკვლევას, დღეისათვის ეს ნაადრევია, რადგან მოქმედი დებულება დროებითია, იგი მოითხოვს გადამუშავებას იმ პრობლემების გათვალისწინებით, რომლებიც მუშობის პრაქტიკამ დაგვახსნა. დებულებით ფონდების დარიცხვები და ბიუჯეტთან ურთიერთობა უნდა წარმოდგეს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორი ნორმატივების საფუძველზე. 1984 წელს, საწარმოს მუშობის სპეციფიკის შესაბამისად, აუცილებელი გახდა განგვეხორციელებინა ნორმატივების ცვლილება და, ბუნებრივია, კითხვაზე, თუ რამდენი პროცენტი გადაარცხოს მოგებიდან სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და ბინათმშენებლობის ფონდში, პასუხი ვერ მივიღეთ.

დებულების თითოეული მუხლის დაზუსტება აუცილებლობას არ წარმოადგენს. იგი დღეისათვის საპროგრამო მასალაა და საჭიროებს შემთხვევაში შემოქმედებითად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი უფლება-მოვალეობის განხორციელებისათვის.

შ. მაღრაძე,
თბილისის ბრეხილი ავეჯის კომბინატის მთავარი ეკონომისტი.

ოლიმპიადა—საბალეტო მეურნეობას

ოჯალეშის პლორაციონება...

ოჯალეშის სელექციის შედეგის ოჯალეშის ჯიში, რომელიც ოდესღაც ფართოდ ყოფილა გავრცელებული კოლხეთში, აღორძინებას იწყებს. გეგეკჭორის რაიონის ბანის სამეურნეოში 100 ჰექტარზე გაშენეს ოჯალეში. ამისათვის იგი ბრეზილიაში ჩამოიტანეს. ეს ბრეზილიელ მეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა.

— ოჯალეში ძალზე განსხვავდება თავისი „თანამოძმეებისაგან", — თქვა ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ჩხარტიშვილმა. — უმეტესულად დიდხანს მწიფდება. მოლუკრო-შავი ყურძნის კრეფა გვიან შემოდგომაზე იწყება და ზოლის დამეკვამდე გრძელდება.

სწორედ ამ გარემოებამ გასაოცრად თავის დროზე ოვანით ვარეულის არჩევანი, რომლებმაც ოჯალეში უხვმოსავლიანი ვაზის ჯიშებით.

სწორედ ასევე გადაშენების პირას აღმოჩნდა სხვა ისეთიც ცნობილი ჯიშებიც, როგორიცაა ალადასტური, ჩხვეიერი, კრახუნა, ოცხანური მწვანე, რომლებიც მოპოვეთ დასავლეთ საქართველოს რაიონებში, საფეიერი, მწვანე კახური, ხიხვი — აღმოსავლეთ რაიონებში.

იმისათვის, რომ სიცოცხლე დაუბრუნონ ვაზის უძველეს ჯიშებს, გადაიდგა მათი მოსავლიანობა, შემოშავებულია ბოდელ-მოყვანის შესაბამისი „აგროტექნიკა ადგილობრივი კლიმატური პირობების, ჯიშების ბიოლოგიური თვისებების გათვალისწინებით. გამოვლინდა ამ და სხვა სტანდარტული ჯიშების დაახლოებით ოცი გენეტიკურად გამძლე კლონი, რომლებიც 20-25 პროცენტით აღემატება მათ მოსავლიანობით, ამასთან, მთლიანად ინარჩუნებს მათ თვისებებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა ახლახან გადმოგვცა ექსპერიმენტული სანერგე მეურნეობა თელავის რაიონში. აქედან მეევნახეობის რაიონების მეურნეობებში ყოველწლიურად გაიგზავნება ვაზის უნიკალური ჯიშების დაახლოებით სამი მილიონი ნერგი.

ზ. პონდონი,
საქინფორმის კორ.

დაბგეგენ ახალ რეკორდებს

1984 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებმა, საქართველოს ინსტიტუტებ გადაეცა სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ინსტიტუტის სპეციალისტების პროექტებით აშენდა და ხაფსლოატაციოდ გადაეცა კრასნოდარ-ტუაფსეს, ანაპა-ციურთის რკინიგზის ხაზები, ბატაისკ-კრასნოდარის, სამტრედია-თბილისის უბნებზე მეორე ლინიდგან, სატვირთო სავაგონო დეპოს პირველი რიგი ბაშრის სადგურში, ბარკვეზა ავტოხაზსა გეორგი ვიდნის კონცხზე, როსტოვის მთავარი სადგურის ვაგზალი და სატრანსბორტო მშენებლობის სხვა ობიექტები.

თბილისელი დამპროექტებლები ამუშავებენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ისეთი უმნიშვნელოვანესი მშენებლობებისათვის, როგორიც არის ეკლესიელოკანის, ბარაბდა-ახალციხის ახალი რკინიგზის ხაზები, ტუაფსე-ადლერის ხაზის ცალკეული გადასარბენის მეორე ლინდგები, ნოვოროსიისკისა და სამტრედიის კვანძების განვითარება, თბილისის მეტროპოლიტენის გლდანისა და ვარკეთილის სადგურებელ მანავებამდე გაყვანა, როკის უღელტეხილით კავკასიის მთავარ ქედში საავტომობილო გზაზე გვირახვის აგება.

მეორეხარისხოვანი ხელოვნების ინსტიტუტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის შენებლობისათვის. სპეციალისტები უკვე ამოავრცენენ არხოტის საუღელტეხილო გვირახის პროექტს.



სურათზე: მეტროს სადგურ „თემქის" პროექტი.

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

სასარგებლო მეთოდების დანერგვით

„ოგილისრძის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივი შარშან მოპოვებული შრომითი წარმატებებისათვის სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდეს. ამასთან იგი შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო სამატონ დაფაზე.

გაერთიანების შრომითელმა კარგა ხანია მოწინავე პოზიციები უკავიათ. აქ წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერების, ფონდუკუგების, რენტაბელობისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი ბევრად აღემატება რესპუბლიკის ამ დარგის ჩამოვნებლებს. ასეთი ტემპი განაპირობა არსებული საწარმოო სიმძლავრეების უკეთ ათვისებამ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებამ, რესურსების კომპლექსურად გამოშენაგებამ და მეორეული ნედლეულის სრულად გამოყენებამ, დაგეგმვისა და ეკონომიკური ტექნოლოგიის ახალი სისტემის დანერგვამ, შეკეთილია მეთოდით მუშაობამ.

ამ მეთოდის დანერგვამ — პირადი, კოლექტიური და საზოგადოებრივი მატერიალური დაინტერესების პრინციპების ოტბიანლარად შეხამებამ წლების განმავლობაში თვალნათლივ დაგვანახვა მისი დიდი უპირატესობა, — განაცხადა გაერთიანების პარტიულის მდივანმა მ. ხარაძემ, —ეს გახლავთ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ეფექტიანი მეთოდი. იგი საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დღევანდელი დონის ერთ-ერთი გამოხატულებაა და მისი შემდგომი სრულყოფის გარკვეული საშუალებაც. მისი დანერგვიდან კოლექტივმა მიაღწია გაცილებით მეტს, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკის დარგობრივი მრეწველობამ. მაგალითისათვის მოვიყვანთ ასეთ ფაქტებს: მეათე ხუთწლედში გაერთიანებაში წარმოების საშუალო წლიური მოცულობა გადიდდა 9,3 პროცენტით, დარგში კი 5,3 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების მატებამ შეადგინა 9,7 პროცენტი, ხოლო დარგში — 5,8 პროცენტი, მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო გაიზრდება.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წარმოების ზრდის მიუხედავად, სამრეწველო პერსონალი გაერთიანებაში არ გაუდიდებიათ, რის შედეგადაც ხელფასის ფონდიდან დაიზოგა ათასობით მანეთი და ეს თანხა უმთავრესად იმ ამოქმედდება ხაკოს ახალი ტიპის გამაცივებელი ხაზი, ეს კი მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს მისი დამზადების ხარისხს. რძისა და რძის პროდუქტების სათავსში დამონტაჟებულია და მალე ამოქმედდება ოთხი იმპორტული გამაცივებელი ხაზი, გარდა ამისა, დამონტაჟდება დანადგარი, რომელიც არაკანს დაიფასოვებს პოლიტიროლის ჭიქებში; მომავალი წლიდან გათვალისწინებულია დაიდგას ხაკოს დასამზადებელი ახალი ტიპის ხაზი, რომელიც მთლიანად გამორიცხავს ხელის შრომას.

გაერთიანების ახალგაზრდა სპეციალისტების ერთმა ჯგუფმა ს. ჭყონიის ხელმძღვანელობით შექმნა ნადუღის დადასტურებული ახალი ალპარატი, რომლის მეშვეობითაც ავტომატური წესით მოხდება ამ პროდუქციის დამზადებაც და მისი მარკირებაც. ეს დიდად შეუწყობს ხელს წარმოების მოცულობის ზრდას.

„ობილისრძის" საწარმოო გაერთიანება უკვე უნარჩენო წარმოებად ითვლება და ამანაც ბევრად განსაპირობა წარმატება. აქ მზადდება რძის შრატი, რომლისგანაც იღებენ მაღალი ბიოლოგიური ღირებულის ისეთ პროდუქტებს, როგორიც გახლავთ რძის შაქარი, შესაქლებელი მშრალი, გამდიდრებული შრატები, ნადუღი, რომლებიც ფართოდ გამოიყენება საკვებად, კვების მრეწველობაში შემავსებლად, აგრეთვე ფარმაკოლოგიაში, მეცხოველეობაში პრიუტყვის საკვებად და სხვა. რამდენს მეტყველებს მარტო ის ფაქტი, რომ ერთი ტონა შესაქლებელი შრატი 400 კილოგრამი ფქვილის საკონდიტერო მრეწველობაში 470 კილოგრამი შაქრის, ხოლო მდნარი ყველის წარმოებაში 1,8 ტონა უცხობო ყველის ტოლფასია.

დღეისათვის გაერთიანებაში მეორეული ნედლეული ასი პროცენტით გამოიყენება, ეს კი ორჯერ აღემატება საკავშირო მაჩვენებელს. ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რძის შრატის გამოყენებას მაკარონისა და ვერმიშელის წარმოებაში. გარდა ამისა, გაერთიანებში დაიწყეს იმ ცხიმების გამოყენება, რომლებიც არაკანს, რძისა და ხაკოს დამზადებისას რჩება.

გაერთიანებაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სკკ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების ღირსეული შეხვედრისათვის. აქ შრომითის მტკიცებაში ჩამბულია თითოეული საამქრო, უბანი, ცალკა. მოწინავეთა შორის არიან შრომის ვეტერანი ე. ოუნგტიეკა, არაკნის საამქროს დამფასოებელი გ. დუნიაე, ახალგაზრდები მ. ქოკაშვილი, ე. ზაფიროვა, მ. კოპალიშვილი, შ. ჭელიძე და სხვები. ისინი ყოველთლიურ ვალეკებს მშინველოვანი გადაჭარბებით ასრულებენ.

ლ. ქინქლაძე.

ამოთხოვნელობის ვითარებაში

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

